დანართი 1

სდასუ

შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია:

შესულია ცვლილება: ბრძანება #85; 25.12.2024 წ.

სასწავლო პროცესის რეგულირების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის (შემდგომში: „უნივერსიტეტი“) სასწავლო პროცესის რეგულირების წესი შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, საქართველოში მოქმედი და საერთაშორისო სტანდარტების, უნივერსიტეტის დებულებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

1.2 წინამდებარე წესი არეგულირებს უნივერსიტეტში სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, მობილობის, განათლების აღიარების, სტუდენტის მიღწევების შეფასების, სტუდენტის უფლება-მოვალეობების, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მართვასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

1.3 უნივერსიტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით და უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიანი, მაგისტრატურის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად.

მუხლი 2. სტუდენტის სტატუსის მოპოვება

2.1 უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება და სტუდენტის მიღების საფუძველი:

2.1.1 უნივერსიტეტში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს საქართველოში გაცემული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

2.1.2 აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უნივერსიტეტში სწავლა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია: ა)უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; ბ)საქართველოს მოქალაქეებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება და სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხო ქვეყანაში; გ) უცხო ქვეყნის მოქალქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში; დ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა

და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტი/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;

2.1.3 უნივერსიტეტი ბაკალავრიატისა და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტის მიღების მიზნით აცხადებს საკუთარი საგანმანათლებლო პროგრამების მიერ თითოეულ საგამოცდო საგანში აბიტურიენტის შედეგისათვის მინიჭებულ კოეფიციენტს. ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე აბიტურიენტები საგანმანათლებლო პროგრამებზე მიიღებიან საგამოცდო საგნებისათვის მინიჭებული კოეფიციენტების მიხედვით;

2.1.4 შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ადგენს ეროვნულ გამოცდებგავლილ იმ აბიტურიენტთა სიებს, რომლებმაც უფლება მოიპოვეს, ისწავლონ უნივერსიტეტის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში ბაკალავრიატის, ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამით და მათ უგზავნის შესაბამის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებს;

2.1.5 უნივერსიტეტში ჩარიცხვა ხდება აბიტურიენტთა შესაბამისი რანჟირების დოკუმენტების საფუძველზე;

2.1.6 უნივერსიტეტი ვალდებულია შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიიღოს აბიტურიენტები და რანჟირების დოკუმენტების საფუძველზე გააფორმოს მათთან ხელშეკრულებები;

2.1.7 უნივერსიტეტში ჩარიცხვის მიზნით, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, აბიტურიენტთა რეგისტრაცია მიმდინარეობს უნივერსიტეტში, რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში;

2.1.8 აბიტურიენტის უნივერსიტეტში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ;

2.1.9 უნივერსიტეტში აბიტურიენტის ჩარიცხვა ფორმდება რექტორის ერთიანი აქტით, რომელიც გამოიცემა არა უგვიანეს პირველი ოქტომბრისა და იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში;

2.1.10 ის პირი, რომელიც შესულია რანჟირების დოკუმენტში, მაგრამ ვერ მოხვდა რექტორის ერთიან აქტში დადგენილ ვადაში უნივერსიტეტისათვის არმიმართვის გამო, უფლებამოსილია, მიმართოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას ჩარიცხვის მოთხოვნით რექტორის ერთიანი აქტის გამოცემიდან მომდევნო წლის ივნისამდე. უნივერსიტეტის რექტორი ვალდებულია დააკმაყოფილოს პირის მოთხოვნა და გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ისე რომ უზრუნველყოფილ იქნეს პირის დაშვება სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგების მიღწევა კანონმდებლობით დადგენილი წესით. რექტორის აქტი იგზავნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, გამოცემიდან 15 დღის ვადაში. ამ გზით პირის ჩარიცხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამორიცხავს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის გამოყენების შესაძლებლობას.

2.2 მაგისტრატურაში სწავლის უფლება და სტუდენტის მიღების საფუძველი

2.2.1 მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს;

2.2.2 რეგულირებადი საგამანათლებლო პროგრამის შემთხვევაში სწავლის მაგისტრატურაში გასაგრძელებლად მაგისტრანტობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;

2.2.3 უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაში/გამოცდებში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ იმ მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელიც: ა) საერთო სამაგისტრო გამოცდის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მაინც გადალახავს დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვრებს; ბ) უნივერსიტეტში გამოცდის/გამოცდების ჩაბარების მიზნით მაგისტრანტობის კანდიდატი რეგისტრაციას გაივლის რექტორის აქტით განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადში;

2.2.4 უნივერსიტეტი კოეფიციენტებს ანიჭებს საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ცალკეულ ნაწილს;

2.2.5 უნივერსიტეტი მაგისტრატურაში ჩარიცხვის მიზნით იყენებს მის მიერ განსაზღვრული გამოცდებისთვის მინიჭებულ კოეფიციენტებს;

2.2.6 უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვა ხდება სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტის საფუძველზე, გარდა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა;

2.2.7 სამაგისტრო გამოცდების კოეფიციენტებით რანჟირების დოკუმენტში მოხდება მხოლოდ ის მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების შესაბამისი საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპს და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდებს;

2.2.8 მაგისტრანტობის კანდიდატთა უნივერსიტეტში ჩარიცხვა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ;

2.2.9 თუ უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის პროცესში აღმოჩნდება, რომ ბოლო ადგილზე, რანჟირებული მაგისტრანტობის კანდიდატების ნუსხიდან ტესტის ნაწილების პრიორიტეტების გათვალისწინების შემდეგ თანაბარი ჩარიცხვის უფლება აქვს ორ ან მეტ მაგისტრანტობის კანდიდატს, უნივერსიტეტი მიიღებს გადაწყვეტილებას მისთვის გამოყოფილი მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის ფარგლებში ამ სპეციალობის პროგრამული მიმართულებისთვის ადგილების დამატების თაობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს უნივერსიტეტის შესაბამისი პროგრამისთვის გამოყოფილი ადგილებისთვის შესაბამის წელს განსაზღვრული მისაღები სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს დამატებული სტუდენტების რაოდენობა მოაკლდება უნივერსიტეტის სტუდენტთა მომდევნო სასწავლო წელს დადგენილ მისაღებ სტუდენტთა კონტინგენტს;

2.2.10 მაგისტრანტობის კანდიდატების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უნივერსიტეტში სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში

დასაშვებია: ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი; ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში; ბ[1]) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში; გ)მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით (ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე) დადგენილი წესით;

2.2.11 მაგისტრანტობის კანდიდატთა უნივერსიტეტში ჩარიცხვა ფორმდება უნივერსიტეტსა და მაგისტრანტობის კანდიდატს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე;

2.2.12 მაგისტრანტობის კანდიდატების თაობაზე, რომლებთანაც გაფორმდა ხელშეკრულებები უნივერსიტეტის მიერ დგება რექტორის ერთიანი აქტი, რომელიც კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში იგზავნება შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში. რექტორის ერთიან აქტში მითითებული უნდა იყოს მაგისტრანტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საერთო სამაგისტრო გამოცდის საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც პირმა მოიპოვა სწავლის გაგრძელების უფლება.

2.3 დოქტორანტურაში სწავლის უფლება და სტუდენტის მიღების საფუძველი

2.3.1 უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურაში) სწავლის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს;

2.3.2 დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს პირს, რომელმაც დაასრულა ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა და რომელიც ამ პროგრამის განხორციელების დროს უფლებამოსილი იყო სწავლა გაეგრძელებინა ასპირანტურაში;

2.3.3 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობები, ჩარიცხვის კრიტერიუმები და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა განსაზღვრულია „დოქტორანტურის სტანდარტსა“ და შესაბამისი სკოლების „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებებში“.

მუხლი 3. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

3.1 შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ერთიანი ეროვნული გამოცდების საბოლოო შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, ბაკალავრიატისა და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით აბიტურიენტთა რეგისტრაცია მიმდინარეობს უნივერსიტეტში რექტორის ბრძანებით განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადაში. აბიტურიენტთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები. რეგისტრაციის ვადებში აბიტურიენტი ვალდებულია მიმართოს უნივერსიტეტს და გაიაროს პირველადი რეგისტრაცია, რაც გულისხმობს სავალდებულო დოკუმენტებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენას. აბიტურიენტის ჩარიცხვა შესაძლებელია მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტისა და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ.

3.2 შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩაბარების მიზნით, მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს უნივერსიტეტში, რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში. რაც გულისხმობს სავალდებულო დოკუმენტების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის და კანონმდებლობით დადგენილი წესით სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირის მიერ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენას და რექტორის სახელზე განაცხადის შევსებას. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის თაობაზე რექტორის ბრძანების ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებიდან 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები.

3.3 უნივერსიტეტის მიერ სადოქტორო პროგრამებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით დოქტორანტობის კანდიდატი ვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში გაიაროს პირველადი რეგისტრაცია, რაც გულისხმობს სავალდებულო დოკუმენტების წარმოდგენას. სავალდებულო დოკუმენტების ნუსხა განსაზღვრულია შესაბამისი სკოლების „სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით".

3.4 უნივერსიტეტის სტუდენტები შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებში განახორციელებენ ადმინისტრაციულ რეგისტრაციას, რომელიც გულისხმობს აღნიშნული სემესტრის სწავლის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენას.

3.5 სტუდენტი 3.4 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში ვალდებულია განცხადებით მიმართოს შესაბამისი სკოლის დეკანს, რომ გამონაკლისის სახით, მიეცეს უფლება პირობითად იქნას დაშვებული აკადემიურ რეგისტრაციაზე და ეტაპობრივად, არა უგვიანეს დასკვნით გამოცდამდე, გადაიხადოს სემესტრის სწავლის ღირებულება.

3.6 სტუდენტი 3.5 პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში არ დაიშვება დასკვნით გამოცდაზე და მას დამატებით გამოცდამდე მიეცემა საშუალება დაფაროს ფინანსური დავალიანება. სხვა შემთხვევაში მას შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი.

3.7 სტუდენტები სემესტრის დაწყებამდე, ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, გადიან აკადემიურ რეგისტრაციას, რომელიც გულისხმობს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებზე/თავისუფალ კრედიტებზე, სხვა სასწავლო აქტივობებზე ან კვლევით კომპონენტზე სტუდენტის რეგისტრაციას. სასწავლო კურსებზე/კომპონენტზე რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ მათი წინაპირობების შესრულების შემთხვევაში. სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის შეცვლა, გაუქმება ან დამატება დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი კვირის ვადაში. აკადემიური რეგისტრაციის აუცილებელი წინაპირობაა ადმინისტრაციული რეგისტრაცია.

მუხლი 4. უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვა

4.1 მობილობის უფლება აქვს პირს, რომლის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (შემდგომში „უსდ“) ჩარიცხვა განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით და ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველად რეგისტრაციის მომენტისათვის არის უსდ-ს სტუდენტი ან შეჩერებული აქვს უსდ-ს სტუდენტის სტატუსი.

4.2 მობილობის განხორციელება შესაძლებელია უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. ამ პუნქტის მიზნებისთვის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები განიხილება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადად. დაუშვებელია მობილობა პროფესიული პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე.

4.3 მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4.4 სტუდენტის მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - „ცენტრი“) მიერ დადგენილ ვადაში, საფეხურებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით უნივერსიტეტის მიერ ცენტრის ელექტრონულ პორტალზე დარეგისტრირებულ ვაკანტურ ადგილებზე.

4.5 მობილობის მსურველის სტატუსს სტუდენტი მოიპოვებს დადგენილი წესით ცენტრის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაციით.

4.6 თუ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის მსურველთა განცხადების რაოდენობა რეგისტრირებული ადგილების რაოდენობაზე მეტია, ჩარიცხვის უფლებას მიიღებენ უნივერსიტეტის მიერ რეგისტრირებული ადგილების შესაბამისი რაოდენობის სტუდენტები, რომელთა ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგები აღემატება მობილობის სხვა მსურველთა შესაბამის შედეგებს.

4.7 თუ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე რეგისტრირებული ადგილებიდან ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულია 2 ან მეტი სტუდენტი, უნივერსიტეტი ცენტრის თანხმობით იღებს გადაწყვეტილებას ამ საგანმანათლებლო პროგრამისათვის ადგილის/ადგილების დამატების თაობაზე. იმ შემთხვევაში თუ უნივერსიტეტში არ არსებობს სტუდენტების რაოდენობის ფარგლებში

ვაკანტური ადგილი, უნივერსიტეტის მიმართვის საფუძველზე ცენტრი უმატებს მას სტუდენტთა მისაღებ ადგილებს იმ რაოდენობით, რაც აუცილებელია თანაბარქულიანი მობილობის მსურველთა ჩასარიცხად. ამ შემთხვევაში დამატებული ადგილების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წელს მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას.

4.8 მობილობის მსურველი უფლებამოსილია ჩარიცხვის თაობაზე განცხადებით მიმართოს უნივერსიტეტს ცენტრის ელექტრონულ პორტალზე მობილობის მსურველ პირთა სიის გამოქვეყნების შემდეგ. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს საგანმანათლებლო დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც პირი ჩაირიცხა უსდ-ში და სტუდენტის პირად საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაციის ასლები.

4.9 მობილობის მსურველი, რომელიც უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში ჩარიცხვის თაობაზე განცხადებით არ მიმართავს უნივერსიტეტს, კარგავს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4.10 უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია ადგენს შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამებთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ.

4.11 კომისიის დასკვნაში მითითებულია აღიარებული სასწავლო კურსებისა და კრედიტების რაოდენობა, სწავლის გასაგრძელებლად რეკომენდებული (აღიარებული კრედიტების რაოდენობიდან და სასწავლო კურსების წინაპირობებიდან გამომდინარე) სემესტრი. დასკვნის გაცნობის შემდეგ მობილობის მსურველის თანხმობის შემთხვევაში, გამოიცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების პროექტი სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ.

4.12 ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები მობილობის უფლებას მოიპოვებენ უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ჩარიცხვის წინაპირობების დაცვით. ამ პირების ჩარიცხვა დასაშვებია მობილობისათვის დარეგისტრირებული ადგილების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

4.13 უნივერსიტეტი უფლებამოსილია საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისათვის განსაზღვროს წინაპირობები, რაც გულისხმობს მობილობის მსურველის ცოდნისა და უნარების საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობის დადგენას. ამ თავსებადობის არარსებობა პირის მობილობით ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველია.

4.14 კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უნივერსიტეტი ცენტრს წარუდგენს სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის ბრძანების პროექტს და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონულ ვერსიას; პროექტში მითითებული სტუდენტები უნივერსიტეტში ჩარიცხვის უფლებას მოიპოვებენ ცენტრის დადებითი დასკვნის შემთხვევაში.

4.15 მობილობის მსურველ სტუდენტს შეუძლია ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემამდე წერილობით მიმართოს უნივერსიტეტს და უარი განაცხადოს მობილობაზე. ჩარიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემის შემდეგ, მობილობის მსურველი ითვლება უნივერსიტეტის სტუდენტად და სწავლას ვეღარ განაგრძობს ძველ უსდ-ში.

4.16 სტუდენტის მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოიცემა რექტორის ბრძანება, ინფორმაცია აისახება (ბრძანების გამოცემის დღესვე) საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში და იგზავნება ცენტრში კანონმდებლობით დადგენილ ვადებში.

4.17 რეესტრის მონაცემების საფუძველზე უნივერსიტეტის მიერ გამოიცემა ბრძანება სხვა უსდ-ში გადასული პირის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ. ბრძანება და მასთან დაკავშირებული ინფორმაციის ელექტრონული ვერსია დადგენილი ფორმით კანონმდებლობით დადგენილ ვადებში წარედგინება ცენტრს.

4.18 მაგისტრანტს მობილობის უფლება აქვს მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4.19 სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტს მობილობის განხორციელება შეუძლია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი ჩარიცხვის წინაპირობების დაცვით.

მუხლი 5. შიდა მობილობა

5.1 უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს ერთი საფეხურის ფარგლებში, გადავიდეს უნივერსიტეტის ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე.

5.2 შიდა მობილობა ცხადდება წელიწადში ორჯერ რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში და უნივერსიტეტში ემთხვევა გარე მობილობის ვადებს.

5.3 შიდა მობილობის განხორციელებისათვის სტუდენტი უნივერსიტეტის რექტორს მიმართავს წერილობითი განცხადებით, რის საფუძველზეც რექტორის ბრძნებით შექმნილი კომისია ადგენს საგანმანათლებლო პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას და იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი კრედიტების აღიარების შესახებ. კომისიის დასკვნაში მითითებულია აღიარებული სას-წავლო კურსებისა და კრედიტების რაოდენობა, სწავლის გასაგრძელებლად რეკომენდებული (აღია-რებული კრედიტების რაოდენობიდან და სასწავლო კურსების წინაპირობებიდან გამომდინარე) სემესტრი. დასკვნის გაცნობის შემდეგ მობილობის მსურველი პირის თანხმობის შემთხვევაში, გამო-იცემა უნივერსიტეტის რექტორის ბრძანება სტუდენტის შიდა მობილობით გადაყვანის შესახებ.

5.4 უნივერსიტეტი შიდა მობილობის შედეგებს აცნობებს ცენტრს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

5.5 შიდა მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი სემესტრის შემდეგ, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.6 სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი.

5.7 მაგისტრანტს შიდა მობილობის უფლება აქვს მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამულ მიმართულებაზე, რომელსაც შეესაბამება მის მიერ ჩაბარებული საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ტიპი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 6. სტუდენტის სასწავლო დატვირთვა

6.1 კრედიტი წარმოადგენს ერთეულს, რომელიც გამოხატავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ. კრედიტი ნაწილდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ თითოეულ კომპონენტს შორის და მოიცავს კონკრეტული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგებისთვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათს. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ საკონტაქტო საათების მიხედვით.

6.2 კრედიტის გაანგარიშებისას არ უნდა იყოს გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო.

6.3 უნივერსიტეტში 1 კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვას) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

6.4 სასწავლო კვირა არის დროის პერიოდი, რომელზეც ნაწილდება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის სასწავლო დატვირთვა და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ დროში შესასრულებელი აქტივობების ერთობლიობას.

6.5 სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს.

6.6 სტუდენტის დატვირთვა 1 სემესტრის განმავლობაში მოიცავს 20 სასწავლო კვირას. სემესტრში სტუდენტის დატვირთვა შეადგენს საშუალოდ 30 კრედიტს.

6.7 აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი, რაც არ აღემატება 12 უწყვეტ კალენდარულ თვეს.

6.8 ერთი აკადემიური წელი მოიცავს საშუალოდ 60 კრედიტს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები. დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს.

6.9 ერთი აკადემიური წელი შედგება შემოდგომის და გაზაფხულის სემესტრებისგან. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით სემესტრების დამატებითი რაოდენობა შეიძლება განისაზღვროს რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 7. სტუდენტის უფლება-მოვალეობანი

7.1 უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:

7.1.1 მიიღოს ხარისხიანი განათლება და მონაწილეობდეს მეცნიერულ კვლევაში;

7.1.2 უნივერსიტეტის შინაგანაწესით და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

7.1.3 აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;

7.1.4 მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;

7.1.5 პერიოდულად შეაფასოს აკადემიური პერსონალის მუშაობა;

7.1.6 საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს, წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, ასევე უნივერსიტეტისა და შესაბამისი სკოლის მართვის ორგანოებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დებულების შესაბამისად;

7.1.7 საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით სწავლების მეორე წლიდან გადავიდეს სხვა უმაღლეს დაწესებულებაში;

7.1.8 პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშობის შეფასება;

7.1.9 უფლებამოსილი პირისაგან მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის თაობაზე;

7.1.10 მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგი;

7.1.11 მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია სდასუ-ში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;

7.1.12 განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

7.2 უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია:

7.2.1 უნივერსიტეტის მიერ საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით ისწავლოს ყველა ის სასწავლო კურსი, რომლის სწავლება სავალდებულოა და რომელიც საკუთარი სურვილით აირჩია;

7.2.2 დაიცვას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დებულება და შინაგანაწესი;

7.2.3 დაიცვას და შეასრულოს სდასუ-სთან დადებული ხელშეკრულების პირობები;

7.2.4 დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები და „სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“.

მუხლი 8. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

8.1 სტუდენტის სტატუსის შეჩერებად განიხილება უნივერსიტეტსა და სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

8.2 სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

8.2.1 სტუდენტის პირადი (თუ სტუდენტი არასრულწლოვანია - კანონიერი წარმომადგენელის) განცხადება სტატუსის შეჩერების შესახებ (მიზეზის მითითების გარეშე);

8.2.2 ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

8.2.3 უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა;

8.2.4 უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულების პირობების დარღვევა;

8.2.5 უნივერსიტეტს მიმართ ფინანსური დავალიანება;

8.2.6 სტუდენტის მიმართ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი ან/და აღმკვეთი ღონისძიების (5 წელზე ნაკლები ვადით თავისუფლების აღკვეთა) შერჩევა, რაც შეუძლებელს ხდის მის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის გაგრძელებას.

8.3 უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების (თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში სტუდენტის მონაწილეობის შეუძლებლობა) და ფინანსური დავალიანების გამო სტატუსის შეჩერების თხოვნით სტუდენტმა პირადი განცხადებით უნივერსიტეტის რექტორს უნდა მიმართოს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 3 კვირის განმავლობაში.

8.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს უნივერსიტეტის მიერ გაწეული სემესტრული მომსახურება ჩაეთვლება მიწოდებულად და იგი კარგავს სტატუსის შეჩერების მოთხოვნის და მიმდინარე სემესტრში გადახდილი სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრში გამოყენების უფლებას.

8.5 სტუდენტს, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, სტატუსის შეჩერებამდე გადახდილი სწავლის საფასური არ უბრუნდება.

8.6 სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში ხელშეკრულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.7 პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო რაოდენობაში.

8.8 სტატუსშეჩერებულ პირს შეუძლია აღიდგინოს სტუდენტის სტატუსი უნივერსიტეტში ან ისარგებლოს მობილობის უფლებით.

8.9 სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის შემდეგ პირს უწყდება სტუდენტის სტატუსი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა.

8.10 სტუდენტის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი საკითხები წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

8.11 ინფორმაცია სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ აისახება საგამანათლებლო დაწესებულებების სტუდენტურ რეესტრში.

მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

9.1 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

9.1.1 სტუდენტის პირადი (თუ სტუდენტი არასრულწლოვანია - კანონიერი წარმომადგენელის) განცხადება;

9.1.2 სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა;

9.1.3 მობილობის წესით სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

9.1.4 საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულება;

9.1.5 საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა (საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ერთი და იგივე სავალდებულო სასწავლო კურსის/კომპონენტის სამჯერ გავლა და კრედიტის ვერ მიღება);

9.1.6 აკადემიური დავალიანება, რომელიც ვერ იქნება დაძლეული საგანმანათლებლო პროგ-რამით სწავლის გაგრძელებისთვის გათვალისწინებულ ვადაში (დამატებით სემესტრებში);

9.1.7 სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების (ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევა) ჩადენა;

9.1.8 სტუდენტის მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5 წელზე მეტი ვადით;

9.1.9 პირის გარდაცვალება და კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევა.

9.2 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.

9.3 სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.4 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლები (პირადი განცხადება, პლაგიატი და სხვა) განსაზღვრულია შესაბამისი სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებით.

9.5 დოქტორანტისთვის სტატუსის შეწყვეტის საკითხს განიხილავს შესაბამისი სკოლის სადისერტაციო საბჭო.

9.6 ინფორმაცია სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ იმავე დღეს აისახება საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.

მუხლი 10. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

10.1 სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის განმავლობაში პირადი განცხადების საფუძველზე.

10.2 სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის უნივერსიტეტის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

10.3 გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი 2010 წლის 5 თებერვლამდე განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან ათი წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით ან მიმართოს უნივერსიტეტს სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი

არ არის უნივერსიტეტის შინაგანაწესით ან სხვა სამართლებრივი აქტით განსაზღვრული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

10.4 სტუდენტის სტატუსის აღდგენა ხდება სემესტრის დაწყებამდე. მაგრამ თუ ეს შეუძლებელი იყო რაიმე ობიექტური გარემოების გამო, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტით, სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში.

10.5 სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში, სემესტრი განისაზღვრება მოქმედ პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის გზით, არსებული აკადემიური დავალიანებისა და სასწავლო კურსების/ კომპონენტების წინაპირობების გათვალისწინებით.

10.6 ინფორმაცია სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ იმავე დღეს აისახება საგანმანთლებლო დაწესებულებების რეესტრში.

მუხლი 11. სწავლის საფასური

11.1 სწავლის საფასური აკადემიური განათლების ყველა საფეხურზე, საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით განისაზღვრება ყოველწლიურად რექტორის ბრძანების საფუძველზე და აისახება ხელშეკრულებაში.

11.2 სწავლის საფასური სტუდენტმა უნდა დაფაროს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

11.3 სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადაში.

11.4 სტატუსშეჩერებული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი სწავლის საფასურით.

11.5 თუ სტუდენტი სტატუსს აღიდგენს ამ წესის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მან უნდა განაახლოს ხელშეკრულება უნივერსიტეტთან. ამ შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება სტუდენტის სტატუსის აღდგენისას დადგენილი სწავლის საფასურით.

11.6 სწავლის საფასურზე შეღავათის საკითხს შესაბამისი სკოლის დეკანის წარდგენის საფუძველზე წყვეტს რექტორი.

მუხლი 12. საგანმანათლებლო პროგრამების მოცულობა, სწავლის ხანგრძლივობა, სწავლის ვადის გაგრძელება. დამატებითი სემესტრი

12.1 საგანმანათლებლო პროგრამების მოცულობა შეადგენს: ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები - არანაკლებ 240 კრედიტს; ერთსაფეხურიანი (სამედიცინო/სტომატოლოგიური) საგანმანათლებლო პროგრამები - არანაკლებ 360/300 კრედიტს; მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები - არანაკლებ 120 კრედიტს; დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები - არანაკლებ 180 კრედიტს.

12.2 საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის ხანგრძლივობა შეადგენს: ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები - 8 სემესტრს; ერთსაფეხურიანი (სამედიცინო/სტომატოლოგიური) საგანმანათლებლო პროგრამები -12/10 სემესტრს; მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები - 4 სემესტრს; დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები - 6 სემესტრს.

12.3 თუ სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამისთვის დადგენილ ძირითად ვადებში (არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი) ვერ ასრულებს საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს და ვერ აგროვებს შესაბამისი კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი კრედიტების რაოდენობას, მას სწავლის ვადა უგრძელდება დამატებითი სემესტრ(ებ)ით:

12.3.1 ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამები - 4 სემესტრით;

12.3.2 ერთსაფეხურიანი (სამედიცინო/სტომატოლოგიური) საგანმანათლებლო პროგრამები - 4 სემესტრით;

12.3.3 მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამები - 2 სემესტრით;

12.3.4 დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები - 4 სემესტრით.

12.4 დამატებით სემესტრებში სწავლის გაგრძელებით უნდა იყოს შესაძლებელი საგან-მანათლებლო პროგრამის მოთხოვნის შესრულება და შესაბამისი კვალიფიკაციის მისანიჭებლად აუცილებელი კრედიტების რაოდენობის მოპოვება, წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტს უწყდება სტუდენტის სტატუსი.

მუხლი 13. საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება

13.1 უნივერსიტეტი აღიარებს საქართველოში მოქმედი ყველა ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებო დაწესებულების მიერ მინიჭებულ აკადემიურ ხარისხებს და კვალიფიკაციებს.

13.2 უნივერსიტეტის მიერ უმაღლესი განათლების კრედიტების აღიარება ეფუძნება მათ შესაბამისობას სდასუ-ს უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამასთან.

13.3 აღიარებას ექვემდებარება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები, რომელზე ჩარიცხვა და სწავლება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.4 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტები, რომელთა საფუძველზეც განხორციელდა კვალიფიკაციის მინიჭება, არ შეიძლება აღიარებულ იქნეს სხვა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის, გარდა დიპლომირებული სპეციალისტის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისთვის აღიარებისა.

13.5 საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების კრედიტების აღიარება შესაძლებელია განხორციელდეს სტუდენტის მიერ შესწავლილი საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსობრივი შესწავლის საფუძველზე; შინაარსობრივი შესწავლის შედეგად შესაძლებელია დადგინდეს სტუდენტის მიერ გავლილი და უნივერსიტეტის

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობა, მათ სახელწოდებებში არსებული სხვაობის მიუხედავად.

13.6 უნივერსიტეტი უფლებამოსილია, გასაუბრების საფუძველზე დაადგინოს სტუდენტის ცოდნის, უნარების და კომპეტენციების თავსებადობა უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამით (სასწავლო კურსებით) განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

13.7 აღიარებას ექვემდებარება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები და პროგრამის კომპონენტები. დასაშვებია იმ სასწავლო კურსების აღიარება (თავისუფალი სასწავლო კურსების სახით), რომელიც არ არის გათვალისწინებული უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამით.

13.8 თუ სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსის დასახელება და კრედიტების რაოდენობა ემთხვევა სტუდენტის სასურველი პროგრამის სასწავლო კურსის დასახელებასა და კრედიტს, მაშინ სასწავლო კურსის აღიარება ხდება ავტომატურად.

13.9 უცხოეთის უსდ-ში მიღებული კვალიფიკაციის ან უცხოეთის უსდ-ში სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება მისი შესაბამისობა საქართველოს უსდ-ის მიერ მინიჭებულ შესაბამის კვალიფიკაციასთან. შესაბამისობა სწავლის შედეგებისა და მინიჭებული კვალიფიკაციის გათვალისწინებით შეიძლება დადგინდეს სწავლის პერიოდის განსხვავების მიუხედავად. უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებულ კვალიფიკაციას ან უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში მიღებულ განათლებას აღიარებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე აბიტურიენტის ან სტუდენტის საქართველოს უსდ-ში ჩარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.10 უცხოეთის უსდ-ის პროგრამის სასწავლო კურსების კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარება ფორმდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული დასკვნის საფუძველზე, რომელშიც მიეთითება პირის მიერ უცხოეთში სწავლის პერიოდში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა უნივერსიტეტის პროგრამასთან, ასევე აღიარებული კრედიტების რაოდენობა.

მუხლი 14. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, მოდიფიცირება ან გაუქმება

14.1 საგანმანათლებლო პროგრამებს, მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამაში შესატან ცვლილებებს შეიმუშავებს შესაბამისი სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, პროგრამის შემუშავების პროცესში აკადემიური და მოწვეული პერსონალის გარდა მონაწილეობას ღებულობს დაინტერესებული მხარეები (დარგის სპეციალისტები, პოტენციური დამსაქმებლები და სხვ.).

14.2 ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს საგანმანათლებლო პროგრამას და სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების სილაბუსებს საქართველოში მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

14.3 საგანმანათლებლო პროგრამა სკოლის დეკანის წარდგინებით გადაეცემა სკოლის საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად. სკოლის საბჭოზე დამტკიცებული პროგრამა გადაეცემა

აკადემიურ საბჭოს. აკადემიური საბჭო წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის განხილვის შემდეგ იღებს დადგენილებას პროგრამის დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ.

14.4 აკადემიური საბჭო იღებს დადგენილებას საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ თუ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, ითვალისწინებს დარგში არსებულ სიახლეებს, უზრუნველყოფს დაგეგმილი შედეგების მიღწევას და კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობას საქართველოს და საერთაშორისო განათლების და შრომის ბაზარზე, არსებობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური და ადამიანური რესურსი და სხვ.

14.5 სკოლის საბჭო უფლებამოსილია შეიმუშაოს და აკადემიურ საბჭოს წარუდგინოს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების (თუ საგანმანათლებლო პროგრამაზე არ ირიცხება არც ერთი სტუდენტი, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება არ შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სხვა) შესახებ, სტუდენტთა შემდგომი განათლების უზრუნველყოფით. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების ან გაუქმებაზე უარის თქმის შესახებ და შეიმუშაოს რეკომენდაციები მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების შესახებ.

14.6 საგანანათლებლო პროგრამის მოდიფიცირების საფუძველი შეიძლება იყოს სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული სპეციალისტების გამოკითხვის შედეგები, პოტენციური დამსაქმებლების და დარგის სპეციალისტების მოსაზრებები, ხარისხის მართვის სამსახურის რეკომენდაციები და სხვ.

14.7 აკადემიური საბჭოს დადგენილება საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მოდიფიცირების ან გაუქმების შესახებ დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის რექტორს.

14.8 პროგრამის გაუქმების შემთხვევაში სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები დეტალურად უნდა განისაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებასთან/ დაკავშირებით მიღებული რექტორის სამართლებრივი აქტით.

მუხლი 15. სტუდენტთა მიღწევების შეფასების სისტემა. GPA (Grade Point Average)

15.1 უნივერსიტეტი ადგენს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტით განსაზღვრული და მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებისთვის საჭირო კომპონენტებს, მეთოდებსა და კრიტერიუმებს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის.

15.2 დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით, გარდა დისერტაციის, სამაგისტრო ნაშრომის, შემოქმედებითი ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო ნაშრომისა. აღნიშნული კომპონენტები უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

15.3 საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა. გარდა დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარის ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომისა. აღნიშნული კომპონენტები უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას.

15.4 სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს

სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს, რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.).

15.5 სასწავლო კურსის შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, აუდიოვიზუალური ნაწარმოების შექმნა, პრაქტიკულ/თეორიული სამუშაო და სხვ.) და შეიძლება აერთიანებდეს შემდეგ მეთოდებს: ტესტი, ესსე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა და სხვ.

15.6 შუალედური გამოცდა (ზეპირი/წერითი შუალედური გამოცდა) შეიძლება შეფასდეს მაქსიმუმ 40 ქულით.

15.6.1 შუალედურ გამოცდაზე არ გამოცხადებისას სტუდენტს გამოცდის აღდგენის საშუალება ეძლევა დეკანის სახელზე განცხადების წარდგენის საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებისა და დასახელებული მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში, გადაწყვეტილებას შუალედური გამოცდის აღდგენის შესახებ იღებს დეკანი.

15.6.2 საპატიო მიზეზით შუალედური გამოცდაზე არ გამოცხადებისას სტუდენტს ეძლევა დადგენილ ვადაში (XIV – XV სასწავლო კვირა) გამოცდის აღდგენის საშუალება.

15.7 დასკვნითი გამოცდა ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით; დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებით დაუგროვდა არანაკლებ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ სტუდენტი დააგროვებს ამ კომპონენტისათვის (წერა/ზეპირი) გათვალისწინებულ მაქსიმალურ ქულათა 50 %-ს, ამასთან თუ შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებებით უგროვდება მინიმუმ 51 ქულა.

15.8 შეფასების კომპონენტები და შეფასების მეთოდები შეიძლება იცვლებოდეს სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით.

15.9 საგანმანათლებლო პროგრამების სხვა კომპონენტების შეფასებები გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამითა და დამატებითი დებულებებით და ან სილაბუსებით.

15.10 შეფასების სისტემა უშვებს:

15.10.1 ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

15.10.2 ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

15.11 საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. გარდა დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომისა.

15.12 იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს შუალედური შეფასებებით არ უგროვდება 41 ქულა, დასკვნით გამოცდაზე არ გამოცხადებისას სტუდენტს დამატებით გამოცდაზე დაშვების უფლება ეძლევა დეკანის სახელზე განცხადების წარდგენის საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებისა და დასახელებული მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას სტუდენტის დამატებით გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს დეკანი.

15.13 დასკვნით და დამატებით გამოცდაზე არ გამოცხადების შემთხვევაში საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ სტუდენტისთვის გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დასაშვებია მხოლოდ საპატიო მიზეზის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში. გადაწყვეტილებას საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნის შესახებ დეკანის წარდგინების საფუძველზე იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

15.14 დასკვნითი გამოცდის ან ვერ ჩაბარების ან არ ჩაბარების შემთხვევაში სტუდენტს სასწავლო კურსი უფასდება F-ით.

15.15 სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.

15.16 დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

15.17 დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

15.18 პრაქტიკის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვა სასწავლო კომპონენტის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებს და დასკვნით (საჯარო დაცვის) (მაქსიმალური 40 ქულა) შეფასებას. სტუდენტის მიღწევების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია შესაბამის სილაბუსებსა და მარეგულირებელ დოკუმენტებში.

15.20 სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ამ წესის მე-15 მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული სისტემით.

15.21 სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში FX - (41-50 ქულა) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარმოადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო F- (0-40 ქულა) შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

15.22 სამაგისტრო პროგრამებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები გათვალისწინებულია შესაბამის სილაბუსებსა და მარეგულირებელ დოკუმენტებში.

15.23 სადოქტორო პროგრამებით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტები ფასდება ამ წესის მე-15 მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული სისტემით.

15.24 სადოქტორო პროგრამებით გათვალისწინებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება შემდეგი სისტემით:

15.24.1 ფრიადი (**summa cum laude**) – შესანიშნავი ნაშრომი (91-100 ქულა);

15.24.2 ძალიან კარგი (**magna cum laude**) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება (81-90 ქულა);

15.24.3 კარგი (**cum laude**) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება (71-80 ქულა);

15.24.4 საშუალო (**bene**) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს (61-70 ქულა);

15.24.5 დამაკმაყოფილებელი (**rite**) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს (51-60 ქულა);

15.24.6 არადამაკმაყოფილებელი (**insufficienter**) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს (41-50 ქულა);

15.24.7 სრულიად არადამაკმაყოფილებელი (**sub omni canone**) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს (0-40 ქულა).

15.25 სადისერტაციო ნაშრომში 15.21.6 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო 15.21.7 ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

15.26 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები გათვალისწინებულია შესაბამის სილაბუსებსა და სკოლების სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებებში.

15.27 საბაკალავრო/სამაგისტრო/ერთსაფეხურიანი და სადოქტორო პროგრამა დასრულებულად ითვლება სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებისა და შესაბამისი პროგრამისთვის დადგენილი კრედიტების სავალდებულო რაოდენობის მოპოვების შემთხვევაში.

15.28 უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში გათვალისწინებულია GPA გამოთვლა, რომლის მიზანია უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ მიღებული შეფასებების აღიარების გამარტივება იმ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რომლებიც იყენებენ GPA შეფასების სისტემას. სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით შესაძლებელია სემესტრის, აკადემიური წლის და საგანმანათლებლო პროგრამის GPA გამოთვლა.

მუხლი 16. გამოცდების ჩატარების წესები

16.1 გამოცდები /საჯარო დაცვები ტარდება სასწავლო კურსის სილაბუსით (შუალედური გამოცდები) ან რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ კვირაში (დასკვნითი/დამატებითი გამოცდები, საჯარო დაცვები).

16.2 გამოცდაზე/საჯარო დაცვაზე გასვლის უფლება აქვთ მხოლოდ გამოცდაზე/საჯარო დაცვაზე დაშვებულ სტუდენტებს.

16.3 გამოცდა უნდა ჩატარდეს მხოლოდ წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესების და მოთხოვნების შესაბამისად სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული შეფასების მეთოდების და კრიტერიუმების გამოყენებით.

16.4 საგამოცდო პერიოდის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 კვირით ადრე: ა) შესაბამისი სკოლის დეკანატების მიერ დგება დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ცხრილი თარიღების, დროის და აუდიტორიის მითითებით; ბ) სასწავლო კურსის განმახორციელებელი შესაბამისი სკოლის დეკანატში წარადგენს საგამოცდო საკითხებს/ტესტებს. საგამოცდო საკითხების/ ტესტების შინაარსობრივი სისწორე არის სასწავლო კურსის განმახორციელებლის პასუხისმგებლობის სფერო. საგამოცდო საკითხები მოწმდება შესაბამისი სკოლის დეკანის მიერ.

16.5 სტუდენტს სწავლის შედეგის მიღწევის დონის გასაუმჯობესებლად უფლება აქვს თვითდაფინანსებით განმეორებით გაიაროს სასწავლო კურსი. ამ შემთხვევაში სტუდენტს სასწავლო ბარათში დაუფიქსირდება უკეთესი შედეგი.

16.6 გამოცდის ჩატარებიდან მაქსიმუმ სამ დღეში სტუდენტს უნდა ეცნობოს გამოცდის შედეგები, რაც აისახება ელექტრონულ ბაზაში და შესაბამის საგამოცდო უწყისში. სტუდენტს უფლება აქვს წინამდებარე დებულებით განსაზღვრული წესით და დადგენილი ვადაში გაასაჩივროს გამოცდის შედეგი; კერძოდ, შედეგის ოფიციალური გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანატს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა; საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი სკოლის დეკანის მიერ მოწვეული სააპელაციო კომისია.

16.7 საგამოცდო ტესტებს დაკრული უნდა ჰქონდეს დეკანის ხელმოწერილი და სკოლის ბეჭედდასმული თავფურცელი. თავფურცელზე სტუდენტი მიუთითებს თავის საიდენტიფიკაციო კოდს და ავსებს სხვა ინფორმაციას.

16.8 გამოცდა უნდა დაიწყოს ზუსტად დანიშნულ დროს. საგამოცდო მასალები შეაქვს დეკანს, რამდენიმე ვარიანტის სახით. საგამოცდო დრო აითვლება მას შემდეგ, რაც ამოკითხული იქნება სტუდენტთა სია, სტუდენტებს მიეცემათ ინსტრუქტაჟი საგამოცდო წესების შესახებ და დაურიგდებათ საგამოცდო საკითხები.

16.9 გამოცდაზე დასაშვებია მხოლოდ ნებადართული პირადი მოხმარების (წყალი, წამლები, ხელსახოცები, საწერი კალამი და სხვა) ნივთების შემოტანა.

16.10 აკრძალულია: გამოცდაზე დაგვიანება; მობილური ტელეფონის, ყურსასმენების და სხვადასხვა ხელსაწყოების, ნებისმიერი სახის ჩანაწერების შეტანა და გამოყენების მცდელობა; სხვისი საგამოცდო ნაშრომიდან გადაწერა; გადალაპარაკება, აუდიტორიაში სიარული, აუდიტორიის დატოვება; რაიმე ფორმით დახმარების გაწევა ან/და მიღება, სხვა პირებისთვის ხელის შეშლა და სხვ.

16.11 გამოცდაზე სტუდენტი ვალდებულია: გამოცხადდეს დაუგვიანებლად; დაიცვას სიჩუმე და წესრიგი; გამოცდაზე იმოქმედოს გამოცხადებული ინსტრუქტაჟის მიხედვით; ტესტის თავფურცელზე მაქსიმალური ყურადღებით და სწორად გადაიტანოს ტესტში შემოხაზული პასუხები, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ მას, რადგან საგამოცდო ნაშრომის შეფასებისას, შემოწმება მოხდება მხოლოდ თავფურცელში გადატანილი აღნიშვნების მიხედვით;

საგამოცდო დავალების შესრულების შემდეგ, ჩააბაროს ნამუშევარი დამსწრეს და უხმაუროდ დატოვოს აუდიტორია.

16.12 დამსწრე საგამოცდო ნამუშევრის მიღებისას ამოწმებს თავფურცელზე საიდენტიფიკაციო კოდის არსებობასა და ტესტების პასუხებით ცხრილის შევსების სრულყოფილებას. პასუხების ცხრილში ღია გრაფების არსებობის შემთხვევაში, უნდა გადაიხაზოს აღნიშნული გრაფა. თუ ტესტი შეიცავს ღია კითხვებს და კითხვა პასუხგაუცემელია, მაშინ მის ადგილზე უნდა დაისვას ლათინური Z, საგამოცდო ნამუშევრის ავტორის თანდასწრებით.

16.13 მედიცინის სკოლის სტუდენტები გამოცდაზე დაიშვებიან მხოლოდ თეთრი ხალათებით.

მუხლი 17. ელექტრონული სწავლება

17.1 ელექტრონული სწავლება არის საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე კვალიფიკაციის მისაღებად ორგანიზებული, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი ან მისი ნაწილი, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილზე სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის ერთდროულად ყოფნას.

17.2 ელექტრონული სწავლება ითვალისწინებს სასწავლო პროცესის სწავლის მართვის სისტემის გამოყენებით წარმართვას. სწავლის მართვის სისტემა არის ინტერენეტზე დამყარებული კომპიუტერული პროგრამა, რომელიც აუცილებელია საინფორამციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვისათვის, კერძოდ, სასწავლო მასალების მიწოდებისათვის, სტუდენტის სტუდენტთან ან/და უნივერსიტეტის პერსონალთან კომუნიკაციისათვის, ტესტირებისათვის, კონსულტირებისათვის, სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგისათვის და სხვა მიზნებისათვის.

მუხლი 18. აკადემიური ხარისხის მინიჭება

18.1 საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებულად ითვლება, თუ სტუდენტმა შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა, დააგროვა პროგრამისთვის სავალდებულო კრედიტების რაოდენობა და მიაღწია საგანმანათლებლო პროგრამით დაგეგმილ შედეგებს.

18.2 ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ენიჭება ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს „ბაკალავრი" შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით;

18.3 მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით კურსდამთავრებულს ენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი, მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა მოიცავდეს ტერმინს „მაგისტრი" შესაბამისი მიმართულების, დარგის/სპეციალობის ან/და ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით;

18.4 სამედიცინო/სტომატოლოგიური განათლების ერთსაფეხურიანი პროგრამის დასრულების შემდეგ სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით კურსდამთავრებულს ენიჭება დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკადემიური ხარისხი. მინიჭებული აკადემიური ხარისხი გათანაბრებულია მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან;

18.5 მინიჭებული აკადემიური ხარისხის (ბაკალავრის, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, მაგისტრის) დასადასტურებლად უნივერსიტეტი გასცემს წარჩინების ან ჩვეულებრივ დიპლომს და დიპლომის დანართს. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში თუ სტუდენტის GPA არის 3.5 და მეტი ამ შემთხვევაში გაიცემა წარჩინების დიპლომი, სხვა შემთხვევაში - ჩვეულებრივი დიპლომი.

18.6 დიპლომის განუყოფელი ნაწილია დიპლომის დანართი, რომელშიც აისახება საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტი შესაბამისი სახელწოდებების, კრედიტების რაოდენობების და მიღებული შეფასებების მითითებით;

18.7 დოქტორანტურის პროგრამის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება აკადემიური ხარისხი, რომლის სახელწოდება მოიცავს ტერმინს „დოქტორი" შესაბამისი მიმართულების ან/და დარგის /სპეციალობის მითითებით.

18.8 მისანიჭებელი კვალიფიკაციები მითითებულია საგანმანათლებლო პროგრამებში. კვალიფიკაციის მინიჭების შემთხვევაში კურსდამთავრებულს უწყდება სტუდენტის სტატუსი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დასრულების გამო.

მუხლი 19. დასკვნითი დებულებები

19.1 წინამდებარე წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიური საბჭოს დადგენილების/გადაწყვეტილების საფუძველზე და ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.

19.2 ცვლილება დამტკიცებულ წესში განხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე გამოცემული რექტორის ბრძანების თანახმად.